საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-4811
15/12/2022

4811-გ-2-202212151240

**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს**
**გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს**
**ქალბატონ ვენერა მეტრეველს**

**ქალბატონო ვენერა,**

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2022 წლის 28 ნოემბრის N21/7225 წერილი და მასზე თანდართული შპს „მადაგი 7“-ის მიერ წარმოდგენილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ბადიაურში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად საწარმოსთვის წყლის აღება იგეგმება შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული რეგისტრირებული ბეგერა არხიდან (ს/კ: 55.00.753).

გაცნობებთ, რომ კომპანიის კაპიტალში რიცხული ბეგერა არხი ამ ეტაპზე უფუნქციოა და არ ხორციელდება მისი ექსპლუატაცია, შესაბამისად კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას შპს ,,მადაგი 7“-ს წყალი მიაწოდოს ბეგერა არხიდან. ასევე გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაზე თანდართული ხელშეკრულება საწარმოო დანიშნულებით წყლის აღებაზე გაფორმებულია ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის გ-34 გამანაწილებლიდან.

შპს ,,მადაგი 7“-ის წარმომადგენლებმა სერვის ცენტრთან ერთად ადგილზე უნდა დააზუსტონ წყალაღების წერტილი და საწარმოსთვის წყლის მიწოდების ტრასა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის ანგარიში ექვემდებარება დაკორექტირებას.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი